დანართი N
დამტკიცებულია
შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის
რექტორის 31.01.2022 წლის N2/13 ბრძანებით
ცვლილება: რექტორის 07.11.2022 წლის N2/185 ბრძანება
ცვლილება: 29.06.2024 წლის N2/86 ბრძანება
ცვლილებები შესულია 2025 წლის 21 მაისის N2/63 ბრძანება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემია

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

BTA მუდმივად ზრუნავს ხარისხის სისტემის გაუმჯობესებაზე!
ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ISO 9001:2015 სტანდარტის დანერგვა, რომლის ფარგლებშიც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს შეხვედრები და შესაბამისი დოკუმენტების მომზადება.

2025 წ

საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიის (შემდეგში„დაწესებულება,კოლეჯი“) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების/ საგანმანათლებლო პროგრამის (შემდეგში ,,პროგრამა“) დაგეგმვის, შემუშავების პროცედურებს, შეცვლის-განახლების წესებს და კონტიგენტის განსაზღვრის მექანიზმებს;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებები /საგანმანათლებლო პროგრამა არის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სასწავლო მიზნების, სწავლის შედეგების, მოდულის /მოდულების, შესაბამისი კრედიტების, სწავლების მეთოდების, შეფასების ფორმებისა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებათა ერთობლიობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სრულდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით გათვალისწინებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-3/მე-4/მე-5 დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებითა და დიპლომის გაცემით;
3. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს კოლეჯის მისიას, სტრატეგიულ გეგმას და მისი შემუშავებისა და განხორციელების გადაწყვეტილება შესაძლოა ეფუძნებოდეს როგორც პირველად წყაროებს (უშუალოდ დაწესებულების მიერ ჩატარებული მოკვლევა რეგიონის შრომის ბაზრის საჭიროებების შესახებ ,პროფესიულ სტუდენტთა/ აპლიკანტთა გამოკითხვის შედეგები ან/და კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი, შეხვედრები დამსაქმებლებთან და სხვ.), ასევე მეორად წყაროებს (სხვა ორგანიზაციების/დაწესებულებების მიერ ჩატარებული კვლევების მონაცემები, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები და ა.შ.)
4. პროგრამის შინაარსი განისაზღვრება შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის მიხედვით;
5. კოლეჯის პროგრამების დაგეგმვა და შემუშვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესის შესაბამისად.
6. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის და მოდულის/მოდულების შემუშავების, განვითარებისა და დამტკიცების წესის შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შეცვლის შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლილ ჩარჩო დოკუმენტთან/საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობას.
7. პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს საგანმანათლებლო სტანდარტი/ჩარჩო დოკუმენტი, თუმცა შესაძლოა არსებობდეს სხვა დამატებითი სამართლებრივი საფუძვლებიც, როგორიცაა 2019 წლის 19 აგვისტოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 170/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების წესი და პირობები“, ან სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე აქტი.

მუხლი 2. პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დადგენა და შემუშავების პროცედურა

1. პროგრამის შემუშავებას წინ უძღვის დაგეგმვის ეტაპი, რომელიც უნდა მოიცავდეს ბაზრის კვლევას, შეხვედრებს პროგრამის სავარაუდო განმახორციელებელ პერსონალსა და პოტენციურ პარტნიორებთან/დამსაქმებლებთან, რესურსების ანალიზსა და კონსულტაციას კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან.
2. პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება შესაძლოა ეფუძნებოდეს შემდეგ გარემოებებს:

- არსებობს მოთხოვნა ან პროგნოზირებულია მოთხოვნა შესაბამის უნარებზე/სამუშაო პოზიციებზე, რაც დასტურდება კვლევებით ან დამსაქმებლების ინიციატივებით.
- დაწესებულება აფართოებს პროგრამათა სპექტრს მისი ძირითადი პროფილური მიმართულების ფარგლებში;
- პროგრამის ფარგლებში შეძენილი უნარები იძლევა თვითდასაქმების საშუალებას ან ხელს უწყობს პიროვნების პიროვნული ინტერესების რეალიზაციას ან ხელს უწყობს სოციალურ ინტეგრაციას რაც გამომდინარეობს პროგრამის შინაარსიდან;
- სხვა არსებითი გარემოებები, რომლებიც შესაძლოა გამოყენებული იქნას არგუმენტებად.

მუხლი 3. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურა

1. დაინტერესებულმა პირმა (დაინტერესებული პირი შესაძლოა იყოს კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენელი, პროგრამის განმახორციელებელი პირი, პარტნიორი ორგანიზაცია და სხვა) შესაძლებელია წარმოადგინოს კოლეჯის რექტორის სახელზე არგუმენტირებული სამსახურებრივი ბარათი პროგრამ(ებ)ის შემუშავების საჭიროების შესახებ. ბარათში უნდა ჩანდეს რის საფუძველზე, ან რა გარემოებებით არის განპირობებული პროგრამის შემუშავების/დანერგვის სურვილი/საჭიროება;
2. რექტორი განიხილავს აღნიშნულს სამსახურებირივი ბარათის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 30 სამუშაო დღეში და თანხმობის შემთხვევაში გამოცემს შესაბამის ბრძანებას კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დაწყების შესახებ, სადაც განისაზღვრება: სამუშაო ჯგუფის ფორმირება, ჯგუფის ხელმძღვანელი, პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი, ჯგუფის შემადგენლობა და სამუშაო ვადები;
3. შესაძლოა კოლეჯის რექტორი თვითონ იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის/საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დაგეგმვის/შემუშავების ინიციატორი (ამ შემთხვევაშიც ინიცირება უნდა ეფუძლებოდეს პუნქტ 2.2 ჩამოთვლილ გარემოებებს), ამ შემთხვევაში იწყება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაბამისი ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მოძიება/ანალიზი. შესაძლოა კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების/ადაპტირები მიზნით რექტორის ბრძანებით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი;
4. პროგრამების შემუშავების ჯგუფში შესაძლოა შედიოდნენ:

✓პროგრამის ინიციატორი;
✓კოლეჯის რექტორი;
✓რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
✓რექტორის მოადგილე;
✓საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის ხელმძღვანელ(ებ)ი;
✓პროფესიული განათლების მასწავლებლები/პრაქტიკის ინსტრუქტორი(არსებობის შემთხვევაში);
✓დამსაქმებლები;
✓კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაციები(პრაქტიკის განმახორციელებელი ორგანიზაციები);
✓ბიბლიოთეკარი;
✓ბუღალტერი;
✓კურსდამთავრებულები;
✓პროფესიული ასოციაციის წარმომადგენლები;
✓დარგის/განათლების ექსპერტები/წარმომადგებელი;
✓და სხვა.

5. ჯგუფს შესაძლოა ხელმძღვანელობდეს: რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ან/და რექტორის მოადგილე ან/და პროგრამის ხელმძღვანელი;
6. სამუშაოს დაწყებამდე ჯგუფის ხელმძღვანელი აცნობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
7. ჯგუფი ახორციელებს შემდეგ აქტივობებს:

7.1. შეისწავლის შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს/ჩარჩო დოკუმენტს;

7.2. აანალიზებს პროგრამის სახელწოდებას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს. პროგრამის დასახელება უნდა ასრულებდეს პროგრამის იდენტიფიკატორის ფუნქციასა, თუმცა ის უფრო მარკეტინგული დატვირთვის მატარებელია. ამიტომაც ის შესაძლოა განსხვავდებოდეს მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელებისაგან, თუმცა არ უნდა იყოს შეცდომაში შემყვანი და არ უჩენდეს დაინტერესებულ პირებს არასწორ მოლოდინს სწავლის შედეგებთან ან სამომავლო დასაქმებასთან დაკავშირებით.

7.3. განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის არჩევით მოდულ(ებ)ს (იმ შემთხვევაში, თუ კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი იძლევა არჩევითი მოდულების ინტეგრირების შესაძლებლობას). შესაძლებელია არჩევითი მოდულის სხვა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტიდან გადმოტანაც. ამისათვის გათვალისწინებული უნდა იქნას სამი გარემოება:

- არჩევითი მუდულ(ებ)ი ვალიდური უნდა იყოს მოცემული პროგრამისათვის, ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

- არჩევითი სტატუსის მოდულების მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ დასაშვებ ოდენობას.

8. მიზანშეწონილია ყველა მოდულის განხორციელება არ იყოს მხოლოდ ერთ პირზე დამოკიდებული. აუცილებელია პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველსაყოფად პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იყოს ერთზე მეტი დარგის სპეციალისტი.
9. განახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებული მოდულების ადაპტირებას;
10. მოდული წარმოადგენს პროგრამის დანართს და ის მტკიცდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად ,გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მოდული ხორციელდება დამოუკიდებელი კურსის სახით (ასეთ შემთხვევაში, ის ცალკე უნდა დამტკიცდეს);
11. მოდულის ან მისი ნაწილის შეცვლის , მოდულის დამატების ან ამოღების შემთხვევაში გამოიცემა ახალი სამართლებრივი აქტი პროგრამაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.
12. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია ,სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
13. ზოგადი მოდულები და სავალდებულო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება კოლეჯს არ გააჩნია.
14. მოდული შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ კომპონენტებს:

- მოდულის სახელწოდება;
- მოდულის სტატუსი;
- ზოგადი ინფორმაცია;
- სტანდარტული ჩანაწერები;
- დამხმარე ჩანაწერები;
- საათების განაწილების სქემა;
- სასწავლო რესურსი;
- სსსმ და შშმ სტუდენტების სწავლება;

15. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად დაუშვებელია გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული გარემოებისა;
16. საათების განაწილების ცვლილებისას დასაშვებია ცვლილება, თუმცა, არა დამოუკიდებელი საათების სასარგებლოდ (დამოუკიდებელი მუშაობის საათები არ უნდა გაიზარდოს).
17. ჯგუფი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგისა ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით).
18. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა და დასტურებადი უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით.
19. პროგრამაში მითითებული მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი რ ე ს უ რ ს ი (აღჭურვილობა) უნდა იძლეოდეს მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.
20. ჯგუფი მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან/პასუხისმგებელ პირთან კონსულტაციით ახორციელებს კოლეჯის მფლობელობაში არსებულ რესურსის შედარებას საგანმანათლებლო სტანდარტში/მოდულში მოცემულ ტექნიკური აღჭურვილობის სარეკომენდაციო ჩამონათვალთან (შესაძლოა საგანმანათლებლო სტანდარტით/ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრული მატერიალური რესურსების სარეკომენდაციო ნუსხიდან რაიმეს ჩანაცვლება სხვა ალტერნატივით საკუთარი შეხედულებების მიხედვით, თუ დასაბუთებულია რესურსების ადექვატურობა სწავლის შედეგებთან მიმართებაში. შესაძლოა დატოვებულ იქნას იგივე რესურსი, რაც მოდულ(ებ)ის საწყის ვერსიაშია მითითებული. გარკვეული მატერიალური რესურსი შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს პრაქტიკის ობიექტზე, ეს უნდა განისაზღვროს წინასწარ ჯგუფის მიერ და შემდგომში უნდა აისახოს შესაბამის ხელშეკრულებაში; შესაძლოა სარეკომენდაციო ნუსხიდან რომელიმე აღჭურვილობა საერთოდ იქნას ამოღებული. ამ შემთხვევაში ჯგუფმა

უნდა დაასაბუთოს, რომ აღნიშნული აღჭურვილობა ან არაა საჭირო სწავლის შედეგის მიღწევისათვის[1]);

21. ჯგუფი აზუსტებს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსს, შესაძლებელია უცვლელად დარჩეს მოდულებში მითითებული ლიტერატურისა და საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი, შესაძლოა ჩანაცვლებული იქნას სხვა რესურსით შესაბამისი დასაბუთებით, სათანადო პირებთან/პროგრამის განმახორციელებლებთან კონსულტირებით. მოდულებში მითითებული ლიტერატურა უნდა უზრუნველყოფდეს სწავლის შედეგების მიღწევას.
22. ჯგუფი აზუსტებს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის (პრაქტიული პროექტი, საწარმოო პრაქტიკა და სხვა) განხორციელების მიდგომებსა და საჭიროების შემთხვევაში ეხმარება კოლეჯს პრაქტიკის ობიექტების მოძიებაში;
23. ერთი და იმავე პროფესიულ სპეციალიზაციაზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, შესაძლებელია განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით. რაც გულისხმობს სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებულ 50%-ზე მეტის სწავლის შედეგების რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას.
24. თუ საგანმანათლებო პროგრამა უნდა განხორციელდეს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით, ჯგუფმა უნდა გამიჯნოს, თუ რომელი მოდული/შედეგ(ებ)ის მიღწევა განხორციელდება კოლეჯში და რომელი პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში შესაბამისი ორგანიზაციების ჩართულობით;
25. ადგენს სასწავლო გეგმას, რომელიც უნდა იძლეოდეს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესაძლებლობას და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები (არსებობის შემთხვევაში);
26. იმ შემთხვევაში თუ გარკვეული მოდული არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, სასურველია წინმსწრებ და მომდევნო მოდულებს შორის სასწავლო გეგმაში იყოს გათვალისწინებული მინიმუმ ერთი ან/და ორკვირიანი ინტერვალი, რათა არ შეიქმნას განმეორებითი შეფასების ჩატარების პრობლემა;
27. ჯგუფმა საჭიროების შემთხვევაში უნდა მოიძიოს და წინასწარი შეთანხმება მოახდინოს საწარმოსთან/საწარმოებთან პრაქტიკის კომპონენტის უზრუნველსაყოფად;
28. დუალური პროგრამ(ებ)ის შემთხვევაში პროგრამის და მისი შესაბამისი დანართების შემუშავება/ადაპტირება ხდება საწარმოს და კოლეჯის ერთობლივი მუშაობის შედეგად, საბოლოო პაკეტი თან ერთვის მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას და არის მისი განუყოფელი ნაწილი.
29. საგანმანათლებლო პროგრამას თან უნდა ერთვოდეს:

- სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის,არაქართულენოვანის სტუდენტებისათვის,არაინტეგრირებული/ინტეგრირებული/სწავლის შედეგების განაწილების სქემა (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- სასწავლო გარემო/ მატერიალური რესურსის ჩამონათვალი/ინფორმაცია მასალა-ნედლეულის შესახებ;
- ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ;
- მოდულები;
- არჩევითი მოდულები(ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- ქართული ენის მოდულები;
- დუალური პროგრამების დროს პაკეტს ემატება სწავლის შედეგების განაწილების სქემა. ასევე, დუალური მიდგომით პროგრამის განხორციელების სპეციფიკის ამსახველი სასწავლო გეგმა.
- ინტეგრირებული სასწავლო გეგმა გაწერილი უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით.

30. აკადემიის რექტორი გამოსცემს ბრძანებას საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის დამტკიცების შესახებ;

მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება, შეცვლა და გაუქმება

1. პროგრამაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის შეფასების მოქმედი სისტემით გათვალისწინებული ღონისძიებების შედეგების ანალიზის (პროგრამის შიდა და გარე შეფასების შედეგები), ჩარჩო დოკუმენტში/ საგანმანათლებლო სტანდარტში,სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტში შეტანილი ცვლილებების, დარგში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებები, შრომის ბაზრის მოთხოვნის (არჩევითი მოდულის შემთხვევაში), საკანონმდებლო ცვლილებები ან სხვაგარემოებების საფუძველზე.

[1]ამის დასაბუთება საჭიროა ავტორიზაციის/პროგრამის დამატების დროს

2. პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებს, რექტორის მოადგილეს სასწავლო დარგში, რექტორის მოადგილეს, პროგრამის ხელმძღვანელს და პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელს და სხვა დაინტერესებულ მხარეს/პირს კომპეტენციის ფარგლებში.
3. პროგრამაში/მოდულში ცვლილების შეტანის შემთხვევაში აღნიშნული ცვლილება მტკიცდება რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით -ბრძანებით;
4. პროგრამის ცვლილების განხორციელებისათვის შესაძლებელია სამუშაო ჯგუფის შექმნა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების ასახვა ხორციელდება პროგრამის შემუშვების ეტაპების ანალოგიურად. დუალურ პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის ადგილის ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორ ორგანიზაციასთან წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.
5. საგანმანათლებლო სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის გაუქმების/შეცვლის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს ამ პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.
6. არსებული მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს:ა) პროფესიული სტანდარტის მოქმედების ვადის ამოწურვა;
ბ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის გადაწყვეტილება პროფესიულისტანდარტის გაუქმების შესახებ;
გ) ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადასვლა;დ) სხვა
ობიექტური გარემოება.
7. კოლეჯის რექტორის მიერ პროგრამის გაუქმების გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს აქვს უფლება სწავლა დაასრულოს მილევად რეჟიმში.
8. არსებული მოდულური/დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ, კოლეჯის რექტორი გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს .
9. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
ა) მონაცემების შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა / პროგრამის შეფასება პირდაპირი (პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება) და არაპირდაპირ იმეთოდების (დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა) გამოყენებით;
ბ) მონაცემების დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
გ) გასაუმჯობესებელი მხარეების გამოყოფა - ანალიზის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების განხილვა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირების მიერ;
დ) რეკომენდაციების შემუშავება და ცვლილებების დაგეგმვა - საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
ე) ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების იმპლემენტაციაში და აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.
10. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების მექანიზმები გაწერილია აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებში;
11. დაინტერსებული მხარეები განისაზღვრება პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული პირების მიერ.
12. საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში შესაძლოა საჭირო გახდეს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის შემუშავება (საჭიროებისმიხედვით) ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა მუშავდება პროფესიული სტუდენტის მონაწილეობით.
13. საგანმანათლებლო პროგრამის ავტორიზაციის პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამაში მისანიჭებელი კვალიფიკაციის ცვლილება დასაშვებია, თუ აღნიშნული უკავშირდება არსებულ დარგობრივ მახასიათებელში განხორციელებული ცვლილებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივ მახასიათებელთან ან ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანას. ასეთ შემთხვევაში, აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა არ განიხილება ახალ პროგრამად.

14. პროფესიულ სტუდენტთა კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე(მათთან ცვლილების განხილვის და თანხმობის შემთხვევაში) ან შესაძლებელია სწავლა დაასრულონ მილევად რეჟიმში იმ პროგრამით, რომელზედაც მოიპოვეს სტუდენტის სტატუსი.

15. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლისა ან გაუქმების შემთხვევაში დაწესებულება შესაბამისი უწყებების ინფორმირებას განახორციელებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

16. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში (მათ შორის ავტორიზაციის დაკარგვის შემთხვევაში), კოლეჯისთვის მნიშვნელოვანია შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა.

17. პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას კოლეჯი ახორციელებს შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) მისცეს მიმდინარე საფეხურის/დონის დასრულების შესაძლებლობა გასაუქმებელი საგანამანათლებლო პროგრამის სტუდენტებს. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღება არ ხორციელდება.

ბ)ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის დაწესებულება აფორმებს ხელშეკრულებას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ/მსგავს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

გ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

დ) უზრუნველყოს სტუდენტების ინფორმირება სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ რეალიზებული რელევანტური საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ;

ე) გააცნოს სტუდენტს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული მობილობის წესი, ვადები და პირობები.

18. დაწესებულებაში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, პროფესიული სტუდენტთა ინტერესების დაცვისა და შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით, რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში ან/და რექტორის მოადგილე ვალდებულია შეისწავლოს გასაუქმებელი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობა მომიჯნავე/ მონათესავე საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანების ან ახალი საგანმანათლებლო პროგრამით ჩანაცვლების შესაძლებლობის საკითხიდა შესაბამისი დასკვნა წარუდგინოს რექტორს.

მუხლი 5. პროგრამაზე ჩასარიცხ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

5.1. საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება შემდეგი ფაქტორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა/პროგრამის განმახორციელებელ პირთა რაოდენობა/დატვირთვა;
- **A გარემო/თეორიული** მეცადინეობისათვის განკუთვნილი სივრცე - სტუდენტების რაოდენობა აუდიტორიაში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- კონკრეტული პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
- **B გარემო/კომპიუტერული** კლასი - ყოველ პროფესიულ სტუდენტზე ერთი კომპიუტერი სრული კომპლექტაციით;
- **C გარემო/პრაქტიკული** კომპონენტისთვის განკუთვნილი სივრცე სტუდენტების რაოდენობა პრაქტიკის ოთახში გაიანგარიშება შემდეგი პრინციპით:

- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- ყოველ პროფესიულ სტუდენტზე სასწავლო გარემოს ფართი(არსებობის შემთხვევაში);
- კონკრეტული პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამით/საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული ინვენტარი და აღჭურვილობა;
  - **კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მოდულის სწავლის შედეგების განხორციელების შესაძლებლობა დისტანციურად;**

- მოდულში შესაძლებელია იყოს ორი ან სამი გარემო ერთად, ამ შემთხვევაში მიეთითება შესაბამისი აღნიშვნა (A და C; ან B და C; ან A და B; ან A, B და C)

5.2. იმ შემთხვევაში, თუ ოთახი გამოიყენება ორი ან მეტი პროგრამისა და ჯგუფისათვის, ფართი და აღჭურვილობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ ყოველმა პროფესიულმა სტუდენტმა შეძლოს სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ მეცადინეობაზე დასწრება შეუფერხებლად;

5.3.თუ ერთი და იგივე რესურსი გამოიყენება სხვადასხვა პროგრამის მიზნებისათვის, კონტინგენტის დასაბუთებისას გათვალისწინებული უნდა იქნას მისი შესაძლებლობები/გამტარუნარიანობა თითოეულ პროგრამასთან მიმართებაში. იმ შემთვევაში თუ ერთი და იგივე პროგრამა იზიარებს საერთო პრაქტიკის ბაზას, უნდა ჩანდეს ამ ბაზის გამოყენების მექანიზმი ორივე პროგრამის მიზნებისათვის;

5.4.საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის განკუთვნილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა(მოდულებით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო, ავტორიზაციის ვადით მფლობელობაში ან/და სარგებლობაში არსებული (დადასტურებული შესაბამისი მემორანდუმებით და ხელშეკრულებებით), სათანადო აღჭურვილობის სასწავლო ფართი, ასევე კომპიუტერული (ციფრული) ტექნიკა, უნდა იძლეოდეს, სწავლა სწავლების წინასწარ განსაზღვრული შედეგის უზრუნველმყოფას.

5.5.პრაქტიკის ობიექტ(ებ)ის/პარტნიორი საწარმო(ები)ს შესაძლებლობები.

კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე/საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება პრაქტიკის ობიექტ(ებ)თან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული მემორანდუმის/ხელშეკრულების საფუძველზე, პროფესიულ სტუდენთა იმ მაქსიმალური რაოდენობის გათვალისწინებით, რაც პრაქტიკის ობიექტ(ებ)ს/პარტნიორ საწარმო(ებ)ს შეუძლია მიიღოს;

5.6.სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრისას ასევე გაითვალისწინება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სპეციალური მოთხოვნები(ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.7.პროგრამის ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, პროფესიულ სტუდენტთა პროგრესის შესაბამისად სასწავლო წლების მიხედვით სტუდენტთა გადანაწილების შესაძლებლობას;

5.8. საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნადობა (წინა წლების მონაცემებით პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა, მიმართულებისა და დარგის სპეციალისტებზე ბაზარზე არსებული მოთხოვნა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები);

5.9. საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისა და ზრდის (მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაფართოვების, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის რაოდენობის გაზრდის და ა.შ.) შესაძლებლობები და სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ნაბიჯები.

5.10.**პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოანგარიშება**

- კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დროს ხდება აღნიშნული ასპექტების შესაბამისობის დადგენა სამიზნე ნიშნულებთან;
- პროფესიული სტუდენტების ზღვრულ ოდენობას გარკვეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე/საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაძლოა განსაზღვრავდეს პროგრამით დადგენილი მოთხოვნები, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პირთა დატვირთვა და სხვა.
- ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა გათვალისწინებულ იქნას სწავლება ორ/სამ ცვალში სწავლის შესაძლებლობა; ასევე ცხრილის შედგენის შესაძლებლობა შეჭრილი ცხრილის პრინციპით.
- დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას უნდა დაანგარიშდეს A, Bდა C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
  - A სასწავლო გარემო - ორ/სამ ცვალში სწავლების შემთხვევაში საშუალოდ იტვირთება 30-50%-ით, რაც საშუალებას იძლევა ერთ ცვლაში მიღებული იქნეს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი/სამმაგი რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3-5 კრედიტს, შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში შეიძლება დაიტვირთოს საშუალოდ 5-6%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების 20-მაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით 40-მაგი რაოდენობა;
  - კანონმდებლობით განსაზღვრული წესით დისტანციური სწავლების შესაძლებლობები;

- მოდულის განხორციელებისთვის საჭირო საწარმოო პრაქტიკის ობიექტის რესურსი საკმარისი უნდა იყოს ობიექტზე განაწილებული პროფესიული სტუდენტებისთვის. პრაქტიკის ობიექტთან/პარტნიორ საწარმოსთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმით გათვალისწინებულია პრაქტიკის ობიექტზე/პარტნიორ საწარმოში მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობა.დუალურ სწავლებაში საწარმოდან გამოყოფილ ერთ ინსტრუქტორზე სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით(ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული, კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვით.
- კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე;
- თუ მოდულის/სწავლის შედეგების განხორციელება უნდა მოხდეს პრაქტიკის ობიექტზე, მაშინ საჭიროების გათვალისწინებით უნდა გაიწეროს ხელშეკრულებაში/მემორანდუმში ან მის დანართში.
- გადაწყვეტილება პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის/გაზრდის/შემცირების შესახებ ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1. წინამდებარე წესში ცვლილებებისა შეტანა ან/და გაუქმება ხდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.